პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 21 ივლისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ. — თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

162 (860) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა
ტელეფონი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## შეისწავლეთ კომპარტიის და საბჭოთა ყრილობების დადგენილებანი სოფლად მუშაობის შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიამ დაასრულა თავისი მუშაობა. მან მრავალი საკითხები გაარჩია, რომელთა უმეტესობა სოფელს ეხება. ყველა ეს საკითხები სათანადოთ გადაჭრილია და მათზე გამოტანილია შესაფერისი რეზოლიუციები. საჭიროა მხოლოდ დაუყოვნებლივ შეუდგეთ მათი ცხოვრებაში გატარებას. ცხადია, ერთბაშად მათი სისრულეში მოყვანა ძნელია, მაგრამ ენერგიული და დაუღალავი მუშაობით კომპარტია და საბჭოთა ხელისუფლება სულ მალე შესძლებს მათ განხორციელებას. აქ პარტიას და ხელისუფლებას გვერდში უნდა ამოუდგეს თვით მშრომელი გლეხობაც.

მხოლოდ ასეთი გაერთიანებული ძალით ჩვენ შევსძლებთ ყველა დაბრკოლებების გადალახვას, რომელიც წინ ცლობება სოფლის აღორძინების საქმეს და მის გამოსვლას სოციალისტური აღმშენებლობის ფართე გზაზე.

ცაკის უკანასკნელ სესიის დადგენილებებს აგრეთვე უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა წითელ არმიელებმა და განსაკუთრებით კი შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ 1924 წლის გაზაფხულის გაწვევის წითელ მოლაშქრეებმა. მათ ბევრი სამუშაო აქვთ სოფლად ჯარიდან დაბრუნებისას.

მათი სახით სოფელი მოელის ამ დადგენილებების აქტიურ გამტარებლებს.

უვადო შვებულებაში წასული წითელი არმიელი მარჯვენა ხელი უნდა იყოს კომპარტიის და ხელისუფლების. მან ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს ხელისუფლებას დასახულ ამოცანების გატარებაში, რომლებიც მიმართულია სოფლის აღდგენისა და განვითარებისაკენ.

მაგრამ წითელ ჯარიდან დაბრუნებული მოლაშქრე მაშინ შესძლებს ამ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას, როცა თვითონ კარგად შეისწავლის პარტიის და ხელისუფლების ყველა დადგენილებებს სოფლად მუშაობის შესახებ. თუ ეს მან არ იცის მის მუშაობას არავითარი ნაყოფი არ ექნება.

ამიტომაც საჭიროა უვადო შვებულებაში წასასვლელ წითელ არმიელებმა თავის პოლიტხელებთან ერთად კვლავ დაწვრილებით გადაათვალიერონ პარტიის მე-14-ე კონფერენციის დადგენილებები და აგრეთვე საქართველოს ცაკის სესიის უკანასკნელი რეზოლიუციები.

საჭიროა კარგად მოემზადოს სოფელში სამუშაოდ.

ეს კი მოითხოვს კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების აღებული ხაზის და ყველა ამოცანების საფუძვლიანად შესწავლას.

ამისკენ მოუწოდებთ შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს.

## ჩეხო-სლოვაკია და საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა პრაგაში მირონოვმა ეკონომიურ რედაქტორების თათბირზე განაცხადა, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და ჩეხო-სლოვაკიას შორის საქონლის ტრიალის გაძლიერებისა, არიან დაბრკოლებები რომლებიც ხელს უშლიან ვაჭრობის საქმეს. ეს დაბრკოლებები მდგომარეობს იმაში, რომ საერთოდ ვერ არის ამ ორ სახელმწიფოს შორის მოგვარებული ურთიერთობა.

იმავე თათბირზე ილაპარაკა სსრკ-ს წარმომადგენელმა ანტონოვ-ოვსეენკომ, რომელმაც შეეხო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას და დასასრულ განაცხადა: „ჩვენ გვწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ურთიერთობა მიიღებს წრფელი მეგობრობის ხასიათს“.

## რადიჩი განთავისუფლებულ იქნა პატიმრობიდან.

19 ივლისს ციხიდან გაანთავისუფლეს სამხრეთ-სლავიის გლეხთა პარტიის ლიდერი სტეფანე რადიჩი.

რადიჩი სათავეში ედგა გლეხთა მოძრაობას მეფის მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ მან გადაუხვია ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზას და დაადგა შემთანხმებელ პოლიტიკას.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### გაერთიანებულ კომიტეტის ინსტრუქციები.

ჩინეთის მუშების, სტუდენტების და სავაჭრო ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტი აგზავნის დელეგაციას, რომელმაც უნდა შემოვლოს მთელი ჩინეთი და აასრულოს შემდეგი ინსტრუქციები: აისულოს ადგილობრივ ხელისუფალთ მონაწილეობა მიიღონ ფონდის გაძლიერების საქმეში გაფიცულთა სასარგებლოდ, მოსთხოვოს ჩინეთის მთავრობას ერთი მილიონი დოლარი ფონდისთვის, მოითხოვოს საალყო წესების მოხსნა. მოახდინონ ზეგავლენა პეკინის მთავრობაზე, რათა მან საჩქაროდ გამოსცეს კანონი პროფკავშირების შესახებ შანხაის მუშების მოთხოვნილების მიხედვით, დაიწყონ კამპანია, რათა უცხოელებთან მოლაპარაკებას საფუძვლად დაედოს გაერთიანებული კომიტეტის 17 მოთხოვნილება და მრავალი სხვა,

## ხმები მოსალოდნელი შეტაკების შესახებ.

**შანხაის გარნიზონს ემატება მუკდენის ჯარები.**

უკანასკნელ დღეებში დადის ხმები მოსალოდნელი შეტაკების შესახებ ჩან-ძო-ლინის არმიასა და უ-პე-ფუს მომხრე სუ-ჩჟან-ფანის ჯარებს შორის შანხაიში.

სავაჭრო პალატებმა გაუგზავნეს დეპეშა ჩან-ძო-ლინს მოთხოვნილებით გაიყვანოს ჯარი შანხაიდან. მაგრამ შანხაიში კვლავ ემატება მუკდენის ახალი ჯარები.

## განაჩენი ამხ. დოსერის საქმეზე.

შანხაის შერეულმა სასამართლომ სინამდვილედ ჩასთვალა ყალბი საბუთი, რომელიც ვითომდა აღმოუჩინეს საბჭოთა კავშირის სინდიკატის წარმომადგენელს კანტონში დოსერს.

სასამართლომ ვერ ცნო, რომ გონკონგისა და კანტონის მღელვარება დოსერის გამოწვეულიაო, ვინაიდან მისი საქმიანობა მეტად შორსაა ამაზე. სასამართლო საჭიროდ სთვლის მოხსნას ბრალდება, მაგრამ იმავე დროს ადგენს, რომ აუცილებელია მისი გაძევებაო.

დოსერის დამცველს განზრახული აქვს გაასაჩივროს საქმე და წამოაყენოს აგრეთვე საკითხი შერეული სასამართლოს უფლებაზე უცხოელთა გაძევების შესახებ.

## ლატვიის მთავრობა აბათილებს ხმებს ლატვიის მტრული ზრახვების შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ.

ლატვიის რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ბირზნეკმა გადასცა საგარეო საქმეთა კომისარიატის კოლეგიის წევრს არალოვს წერილი, რომლითაც ის აბათილებს პრესაში გავრცელებულ ხმებს, რომ ლატვიას მტრული ზრახვები აქვს საბჭოთა კავშირის მიმართო. მისი განცხადებით ლატვიას არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კავშირის შესაქმნელად.

„ლატვიის ხალხი და მთავრობა — ნათქვამია წერილში — ყოველმხრივ სცდილობენ მშვიდობიან და მეგობრულ განწყობილებაში იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხებთან“.

## ბულგარეთის მიწაზე არ შრება რევოლიუციონერთა სისხლის ღვარი.

სიკვდილით დასჯილ იქნა 8 კაცი.

ბულგარეთის უმაღლეს სამხედრო სასამართლომ დაამტკიცა სასიკვდილო განაჩენი არალეგალურ ორგანიზაციის წევრთა მიმართ.

7 ბრალდებულს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, დანარჩენებს ციხე 10-12 წლამდი თვითეულს.

ბულგარეთის მეფემ დაამტკიცა აგრეთვე სასიკვდილო განაჩენი პოლკოვნიკ მილტენოვზე, რომელსაც ბრალი ედებოდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერასა და მათ შეიარაღებაში.

## გერმანიის კომპარტიის ყრილობა.

ყრილობამ ერთხმად მიიღო თეზისები პოლიტიკურ მდგომარეობისა და პროფკავშირების შესახებ.

მიღებულ იქნა ახალი ცეკას კანდიდატების სია, რომელთა რიცხვი გადიდებულია 19-დი. ცეკაში შევიდა მემარჯვენე ოპოზიციის 2 წარმომადგენელი.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტ პატიმართა ცოლებისაგან შემდგარ ქალთა დელეგაციის მოწოდებამ; დელეგაცია მოითხოვდა ენერგიულ ზომებს საყოველთაო ამნისტიის გასატარებლად.

დიდი ოვაციებით შეხვდენ ინდოეთის მუშათა კლასის წარმომადგენლებს.

ცეკას ახალი წევრების გვარები არ წაუკითხავთ ყრილობაზე, ვინაიდან დარბაზში იყვენ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთების რედაქტორები და პოლიციის აგენტები.

## შეტაკება კომუნისტებსა და პოლიციის აგენტებს შორის.

პოლონეთის დედა—ქალაქ ვარშავის ცენტრში კომუნისტებს კნიევსკის, ტუროვსკის, რუტკომსკისა და პოლიციის აგენტებს შორის ასტყდა სროლა, რომელიც გადაიქცა ხანგრძლივ ბრძოლად. პოლიციელები მისდევდენ კომუნისტებს, რომლებიც ესროდენ პირველთ, სანამ მძიმე ჭრილობებისაგან არ დაეცენ.

სროლის დროს მოკლულია ერთი, დაჭრილია 6 პოლიციის აგენტი და 4 სხვა კერძო პირი.

ქალაქის განაპირა ადგილებში გამვლელები ხელს უწყობდენ გაქცეულ კომუნისტებს.

როგორც ირკვევა, ხსენებული კომუნისტები სცდილობდენ პროვოკატორის მოკვლას, მაგრამ შემჩნეულ იქნენ აგენტების მიერ.

# საბჭოთა კავშირში

## გერმანიის დელეგაციის მუშაობა.

გერმანიის მუშათა დელეგაციამ ინახულა ლენინგრადის გუბპროფ-საბჭოს პრეზიდიუმი, კულტგანყოფილება და სხვა ორგანიზაციები. პოლიტიკური კომისია ეცნობოდა პარტიულ ორგანიზაციების მშენებლობას და მოღვაწეობას.

იმავე დღეს დელეგაციამ ინახულა „კრასნი ტრეუგოლნიკი.“

# მშრომელ ხალხის გამცემლები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე.

### მოწმეების დაკითხვა.

17 ივლისის დილის სხდომაზე გრძელდება მოწმეების დაკითხვა. ჩვენებას იძლევა აბაშის ალმასკომის თავმჯდომარე **გედევან კაჭარავა**; ის აცხადებს, რომ მენშევიკური ბანდების დაბიდან განდევნის შემდეგ ჩვენს რაზმებს დაუხვდათ მარქსის, ენგელსის და შოთა რუსთაველის დამსხვრეული ძეგლები. გატეხილი და აოხრებული იყო ალმასკომის ბინა, ბიბლიოთეკის წიგნები აწეწილი და ეზოში მოზნეული. როგორც გავიგეთ, აბაშის ბანდის ხელმძღვანელი იყო ძველი აფიცერი მხეიძე. დატყვევებული კომუნისტები მათივე გადმოცემით—განთავისუფლების შემდეგ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

ბანდიტებისაგან ისინი განიცდიდენ დამცირებასა და დაცინვას.

**ივანე ჭეიშვილი.**

ყოფილი მენშევიკი, დღეს უპარტიო, საბჭოთა ხელისუფლების დროს გურიის მენშევიკური კომიტეტის მდივანი იძლევა შემდეგ ჩვენებას:

„ჩვენ გვყავდა სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც ახდენდა ცოცხალი ძალებისა და იარაღების აღრიცხვას. ობოლაძე რომ მოჰკლეს, იმ დროს ციხეში ვიჯექი. ჩვენმა ორგანიზაციამ გამოუშვა ფურცლები, რომელშიაც ის უარყოფდა ობოლაძის მკვლელობაში მონაწილეობას, რათა პარტიას სახელი არ გასტეხოდა მასებში. ციხიდან რომ გამოვედი, საიდუმლოთ გავიგე, რომ მკვლელობა მენშევიკურმა ორგანიზაციამ მოაწყო. მე მომივიდა მოწერილობა დავხმარებოდი ბინითა და საზრდოთი შორაპნიდან გამოქცეულ ყაჩაღ გოგია ღლონტისა და სხვა ჯგუფებს. ჩვენ ტყედ გასულ რაზმელებისთვის ტანისამოს ვღებულობდით ცენტრიდან. ღლონტი და მანწკავა ძველი ყაჩაღები იყვენ, რომლების ბანდებმა ბევრი ყაჩაღობა ჩაიდინა და სხვათა შორის გაძარცვა გემი შავ ზღვაზე ნატანების ახლოს.

**ვასილ კაჭარავას**

ჩვენებიდან სჩანს, რომ აბაშის მეამბოხეთა ბიუროში მენშევიკების გარდა შედიოდა ეროვნულ-დემოკრატი ვაჭარი დიმიტრი ქობულია.

**ეპიფანე ხუხია.**

ტფილისის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი.უპარტიო. ნაციონალ დემოკრატების დავალებით ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბანდიტურ თავდასხმებში გაძარცვის მიზნით. როგორც თვითონ ამბობს, ყოფილი აფიცერი მხეიძე მას აიმედებდა თურმე,რომ ასეთი საქმეებით (ყაჩაღობით) შენ დაიმსახურებ ნაციონალ დემოკრატების ნდობას და პარტიაში მიგიღებენო.

**ვ. ხურცილავა.**

ხურცილავა სოხუმელი ვაჭარია. ის აქტიურად მუშაობდა მენშევიკურ ორგანიზაციაში. მის დუქანში იმართებოდა არალეგალური კრებები. მისი განცხადებით მას ვითომც პოლიტიკის არაფერი გაეგება.

თავმჯდომარის შეკითხვაზე, რატომ მიემხრო ის მენშევიკებს და რა სარგებლობას მოელოდა ის მათთან მუშაობით, ხურცილავა უპასუხებს: „მე შემპირდენ კენჭის ყრა იქნებაო“. (სიცილი).

**კ. თოფაძე.**

(„სხივლების“ ცეკას ყოფილი წევრი—მუშა), ჩვენს ორგანიზაციაში ორი მიმდინარეობა შეიქნა. ერთი ლეგალური მუშაობის მომხრე იყო, მეორე მენშევიკებისკენ იხრებოდა. ამ უკანასკნელში შედიოდენ გ. გიორგაძე, ნ. იმნაიშვილი და კ. ნინიძე. შემდეგ ინტერპარტიულ კომიტეტში ჩვენგან არჩეულ იქნა გიორგაძე. პარიტეტულ კომიტეტის შედგენის შემდეგ აქ რწმუნებულება დაევალა მ. ხოჭოლავას, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ხშირად მის მაგივრობას ასრულებდენ ნინიძე, იმნაიშვილი და მგონი გიორგაძეც. არალეგალობაზე გადასვლის საკითხის დროს იმნაიშვილი დაჟინებით მოითხოვდა „იატაკ ქვეშ“ ვიმუშაოთო. ჩვენ ვეუბნებოდით: „კაცო, არავინ გვდევნის და რა საჭიროა არალეგალური მუშაობათქო“.

მუხრან ხოჭოლავა გვეუბნებოდა პარიტეტულ კომიტეტს სურს აჯანყება მოაწყოს, უცხოეთის ჯარები დაგვეხმარებიანო და სხვა. მე ეს არ მჯეროდა რასაკვირველია და ამიტომ ნდობის თვალითაც არ მიყურებდენ, მაგრამ რადგანაც მუშა ვიყავი და მუშებთან მქონდა კავშირი, ამით ანგარიშს მიწევდენ. ბოლოს და ბოლოს მე ამიცრუვდა მუშაობაზე გული და ცეკას ჩამოვშორდი.

**საღამოს სხდომაზე გრძელდება მოწმეების დაკითხვა.**

**აკაკი შონგირაძე.**

ინვალიდთა არტელის მოსამსახურე, უპარტიო. ის ამბობს: 1923 წელს ჩემთან მოუხშირა სიარული ჩემმა ნაცნობმა დგებუაძემ და სულ ერთსა და იმავე საგანზე მელაპარაკებოდა: საქართველო დამონავებულია, შენ, როგორც ქართველი,ვალდებული ხარ მონაწილეობა მიიღო მის გათავისუფლებაშიო და სხვა. ბოლოს მან გადამიბირა, შევცდი და მივეცი დაპირება—ხელს შევუწყობდი ამ საქმეს. შემდეგ მოწმე ამბობს, თუ როგორ დაავალეს მას თავდასხმების მოწყობაში მონაწილეობა ფულის გატაცების მიზნით ორგანიზაციის სასარგებლოდ და სხვა.

აი ასეთი საშუალებით უნდოდა პარიტეტულ კომიტეტს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“.

**დავით ურუშაძე.**

მილიციის ყოფილი თანამშრომელი, როგორც მისი ჩვენებიდან სჩანს, ისიც უნდოდა პარიტეტულ კომიტეტს გამოეყენებია საყაჩაღოდ. შედგენილ იყო 65 კაცისაგან „ორგანიზაცია, სადაც მუშაობდენ სხვათა შორის კალანდაძე და ნ. ცინცაძე. ამ მოწმის ჩვენებიდანაც აშკარად სჩანს, რომ პარიტეტულ კომიტეტი ყაჩაღობით აპირებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

# საქართველოს ცაკის მეორე სესია.

### მეხუთე დღე.

მეხუთე დღეს, დილის სხდომაზე სესიამ მოისმინა ამხ. ქვანიას მოხსენება.

**მიწის კანონის კოდექსის**

ზოგიერთ მუხლების შესწორებების და დამატებების შესახებ. მომხსენებელი პირველ ყოვლისა ეხება საკითხს სასოფლო მეურნეობაში მიწების იჯარით გაცემის შესახებ.

სესიისთვის წარდგენილი პროექტით გათვალისწინებულია, რომ გაცემული იჯარის ვადა ნორმის ფარგლებში, არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს. ამ საკითხთან მომხსენებლის აზრით მჭიდროთაა დაკავშირებული, მოიჯარადრის მიერ მუშა-ხელის დაქირავების საკითხი.

ეს გარემოებაც გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროექტში. ამავე დროს მომხსენებელი ეხება სოფლათ მიწათმოწყობის საკითხს და აღნიშნავს რომ ვინაიდან ცენტრი ვერ გასწვდა მიწათ-მოწყობის საკითხს მთელი რესპუბლიკის მაშტაბით, ამიტომ საჭიროა ეს ხარჯები გადავიტანოთ ადგილობრივ ბიუჯეტზე.

ამხ. ქვანიას შემდეგ გამოვიდა ამხ. ვარძიელი, რომელმაც სესიას მოახსენა.

**სას.-სამ. სასამართლო კოლეგიების** დაარსების შესახებ თემალმასკომებთან. ამხ. ვარძიელი აღნიშნავს, რომ ამ საკითხის გამო გამოყოფილ კომისიის დასკვნებით ასეთი კოლეგიები უნდა დაარსდეს იმ თემებში, სადაც არსებობენ სახალხო სასამართლოები.

ამხ. ვარძიელის განცხადებისა და ამხ. ქვანიას მოხსენებათა გამო გაიმართა.

კამათი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა ამხანაგებმა. საღამოს სხდომაზე კამათი ისევ გაგრძელდა. კამათის შედეგათ სესია ღებულობს ორივე პროექტებს კომისიის რედაქციით.

**ჭიათურის კონცესიის შესახებ.**

სიტყვას, ჭიათური შავი ქვის კონცესიის შესახებ ღებულობს ამხ. შალვა ელიავა.

ორატორი ვრცლათ ჩერდება კონცესიის პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობაზე და განმარტავს საკონცესიო ხელშეკრულების მუხლებს ცალცალკე.

სესიამ მოისმინა აგრეთვე ამხ. დ. ნასარიძის საინფორმაციო მოხსენება გლეხთა ცენტრ. სახლის მუშაობის შესახებ.

სესიის დასასრულს, სიტყვა სთქვა ფილიპე მახარაძემ. აფხაზეთის წარმომადგენელს ამხ. გეგელიას წინადადება შეაქვს, რათა ცაკის მორიგი სესია მოწვეულ იქნეს სოხუმში.

სესია ასრულებს მუშაობას და იხურება საღამოს 11 საათზე.

# სამხედრო საქმე

### ნაწილების (ჯგუფური) შეჯიბრი სროლაში.

ცალკე მსროლელთა შეჯიბრის გარდა სწარმოებს აგრეთვე შეჯიბრი მტყვიამფრქვევ და მსროლელ ათეულებისა და ოცეულებს შორის.

წინასწარ, შეჯიბრზე დაშვებულმა ნაწილმა უნდა გაიაროს ლაშქრული წესით 15 ვერსი, ხოლო მეტყვიამფრქვევე ოცეულებმა საბარგულეებით—10 ვერსი. ასეთი გადასვლის შემდეგ დაიწყება შეჯიბრი სროლაში. ჩვეულებრივად შეჯიბრისთვის ირჩევენ ნაკლებად ნაცნობ ადგილს, სადაც მსროლელებმა, ათეულებისა და ოცეულების უფროსებმა უნდა გამოიჩინონ ცოდნა მანძილის განსაზღვრაში, ადგილთან შეგუებაში, შენიღბვაში და საერთოდ ტაქტიკურად სწორად გადაჭრან თავიანთი სასროლო ამოცანები იმ პირობებში, რომლებსაც ისინი ნაკლებ იცნობენ; ცხადია, მუდმივ სასროლო მოედნებზე, სადაც მსროლელებს ყოველი ბუჩქი და მანძილი კარგად აქვთ შესწავლილი, სადაც არა ერთხელ გაუვლიათ ტაქტიკური სასროლო მეცადინეობა, არ შეიძლება სწორად იქნას შეფასებული, თუ როგორი მომზადებულია სროლის საქმეში ათეული და ოცეული.

თუ რომ ყოველი მეომარი ცალკეული სროლის დროს თვითონაა პასუხისმგებელი თავის მუშაობაში, აქაც ცალკე მსროლელის მუშაობა გავლენას ახდენს მთელი ნაწილის (ათეულის და ოცეულის) მოქმედებათა შეფასებაზე.

რაში გამოიხატება ათეულისა და ოცეულის მომზადება სროლის მხრივ? სხვანაირად, რა მიიღება მხედველობაში შეფასების დროს, თუ რომელი ნაწილია უკეთ მომზადებული.

აქ მნიშვნელობა აქვს მსროლელის და უფროსის მომზადებას, და მაშასადამე, როგორც ერთის, ისე მეორის სათანადო მუშაობასაც.

პირველ ყოვლისა ფასდება უფროსის მომზადება ტაქტიკური თვალსაზრისით, ე. ი. თუ რამდენად სწორად გადაჭრა მან ამოცანა მოცემულ გარემოებასა და პირობებში და რამდენად ხერხიანად ხელმძღვანელობს ის თავისი ნაწილის მანევრებს.

შემდეგ ფასდება უფროსის განკარგულება ცეცხლის წარმოებაში, ე. ი. თუ რამდენად სწორად და ნათლად იძლევა ის განკარგულებას. შემდეგ სერიოზული ყურადღება ექცევა მსროლელთა მუშაობას, როგორცაა: მანევრების ცოდნა, ადგილთან წესიერი შეხამება, თავის უფროსის განკარგულების სწრაფად და სწორად შესრულება, და ცეცხლის დისციპლინის სასტიკად დაცვა.

ბოლო ათეულის, ოცეულის მუშაობის სრული შეფასებისათვის სწარმოებს ცალკე სანიშნოების შემუსვრათა გამოანგარიშება, რომლებიც (სანიშნოები) გამოხატული არიან ტაქტიკური ამოცანების მიხედვით, ან ცალკე სანიშნოების ჯგუფის სახით.

ამ რიგად ნაწილების შეჯიბრის დროს ფასდება არა მარტო თვითეული მონაწილის მოქმედება, არამედ მთლიანად ათეულისა და ოცეულის მთელი მუშაობა.

პ.

# არმიის თათბირი

### ეროვნულ და ტერდივიზიებში მუშაობის შესახებ. გამომცემლობა და სამხკორთა მუშაობა.

18 ივლისის საღამოს სხდომა.

**ამხ. ანჩარსკის მოხსენება.**

ეროვნულ დივიზიის პოლიტგანყოფილებებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ წითელ-არმიელთა გაზეთების გამოცემას; ჟურნალების გამოცემა შეიძლება იმ პირობებში, თუ რომ მოცემულ დივიზიის გაზეთი გამოდის არა ნაკლებ სამი ნომრისა კვირაში და თუ რომ ჟურნალმა მოიპოვა შედარებით დიდი და მტკიცე ტირაჟი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა ეროვნულ დივიზიების გაზეთები მობრუნებულ იქნან „პირით წითელ არმიელისაკენ“.

განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ გაზეთების ფართე მუშაობას წვევამდელთა და ტერნაწილების ცვალებად არმიელთა შორის.

ეროვნულ დივიზიების გაზეთი უნდა სცდილობდეს სოფლად გავრცელებას, რაიც შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ შექმნილ იქმნება ტერსამხკორთა მტკიცე კადრი.

საგამომცემლო საქმეში საერთო ხელმძღვანელობა უნდა ტარდებოდეს კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს მიერ. საჭიროა კავშირის განმტკიცება ეროვნულ დივიზიებისა და კ. წ. დ. ა. პოლიტსამმართველოს სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილებებს შორის.

ეროვნულ ნაწილების ცხოვრების გაშუქება გაზეთში და უფპოლიტშემადგენლობის მონაწილეობა ჟურნალში დაყენებულ უნდა იქნას ისე, რომ წითელ არმიელთა პრესა წარმოადგენდეს კავშირის ერთ ფორმათაგანს ეროვნულ და ნუმერულ ნაწილებს შორის.

პოლიტგანყოფილებები და ეროვნულ დივიზიების გაზეთის რედაქციები სასწრაფოთ უნდა შეუდგენ სამხკორთა მტკიცე ქსელის შექმნას. სამხკორთა მთელი მუშაობა უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგით: „სამხკორი მხოლოდ გამომააშკარავებელი და მამხილებელი კი არაა, არამედ მოწინავე წითელ არმიელი“.

საჭიროა აგრეთვე კედლის გაზეთის ხარისხის გაუმჯობესება და მტკიცე კურსის აღება ასეულის კედლის გაზეთებზე.

**ამხ. ეგიკოვის მოხსენება.**

სამხედრო წესდებების, უფპოლიტშემადგენლობისა და კურსანტების სახელმძღვანელოების, და აგრეთვე წითელ-არმიელთა მასებისთვის სამხედრო პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის საკითხი გადაუდებელი ამოცანაა.

ენების სხვადასხვაობა ჰბადებს აუცილებლობას, რათა მთელი საგამომცემლო საქმიანობა ეროვნულ დივიზიებისა გადატანილ იქნას თვით დივიზიებში.

(შემდეგი იქნება)

# სამხედრო ქიმია.

### ქიმიურ და სამხედრო ქიმიურ ნივთიერებათა მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში.

**დარიშხანა და მისი შენაერთები.**

დარიშხანას ხმარობენ თაგვების, კალიების და სხვა მავნებლების გასანადგურებლად.

თაგვების მოსაწამლავად აიღებენ პურის ნატეხს, ამოავლებენ დარიშხანა შენახვევ ხსნილში და ასეთ პურის ნატეხებს მოაბნევენ მინდორზე. თაგვები სიამოვნებით სჭამენ ასეთ პურს და იწამლებიან.

ასევე ანადგურებენ კალიას. მხოლოდ პურის მაგივრად იღებენ ღერღილს, ქატოს, ნახერხსა და ნაგავსაც და ასხურებენ დარიშხანას ხსნილს.

ამ ნივთიერებათა ჭამისთანავე კალია იხოცება.

ასეთი ბრძოლისათვის კალიას წინააღმდეგ საკმარისია 3—4 გირვანქა დარიშხანა ნარევი ნივთიერებმა დაახლოებით ორ ნახევარ ქცევაზე, რაც იაფად ჯდება, თუ ქიმიური მრეწველობა განვითარებულია; ხოლო როგორც ბრძოლის საშუალება აღნიშნულ მავნებლის წინააღმდეგ, ის მეტად საიმედოა.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ესავე დარიშხანა შედის ძლიერ საომარ ცხვირის მაცემინებელ, კანის დამაწყლულებელ და მომწამლავ ნივთიერებათა შემადგენლობაში; იმავდროს დარიშხანა აუცილებელია წამლების მოსამზადებლად სიფილისის, სიგამხდრის წინააღმდეგ და სხვა და სხვა ავადმყოფობის დროს. დარიშხანოვანი ნივთიერებანი მზადდება ერთგვარი დარიშხანოვანი მადნიდან, რომელიც მოიპოვება მიწაში.

ასეთი ნედლი მასალის მადანი ჩვენში დიდძალი რაოდენობით მოიპოვება.

**ქლორი**

პირველი საომარი მომწამვლელი ნივთიერება—მხუთარი გაზი—ქლორი, რომელიც იხმარებოდა წასულ ომში და რომელიც აუცილებელია თითქმის ყველა სამხედრო გაზების დასამზადებლად,—დიდძალი რაოდენობით იხმარება სასოფლო მეურნეობაში. ეს მეტად ძლიერი და საიმედო იარაღია მინდვრის თაგვებისა და სხვების წინააღმდეგ. მინდვრის თაგვები დიდ ზარალს აყენებენ სასოფლო მეურნეობას. წინად მათთან ბრძოლა მეტად ძნელი იყო, ვინაიდან ისინი ერთბაშად მოედებოდენ მინდვრებს და ადვილად იფარავდენ თავს სოროებში. ეხლან მათთან ბრძოლა მეტად ადვილია, ვინაიდან საკმარისია მხოლოდ 2—3 მისხალი გაზი მოხვდეს სოროში, რომ მაშინვე გამოიხრჩოს მინდვრის თაგვი.

ქლორი მეტად იაფი ნივთიერებაა. მის დასამზადებლად იხმარება ჩვეულებრივი სამზარეულო მარილი, რომელიც ჩვენში დიდძალი რაოდენობით მოიპოვება.

ქლორს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამხედრო საქმეში და სასოფლო მეურნეობაში, არამედ ტეხნიკაშიაც და საერთოდ მედიცინაშიაც.

ლ. ვორონოვი.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდა ჩვენთან.

(მე 6-სე ტერ-ლეგ.)

ლეგიონის კლუბი შეუდგა წინასწარ სამზადისს თათარ ტერ-არმიელებთან ანტი რელიგიურ კამპანიის ჩასატარებლად „შახსეი ვახსეის" წინააღმდეგ.

დამზადებულ იქნა ლოზუნგები და გამოკრული ლენკუთხეებში. ჩატარდა თათრების მკითხველთა ბირთვის მიერ ხმა-მაღალი კითხვები და პოლიტბირთვის მიერ კი ჩატარებულ იქნა საუბრები; გამოვიდა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი „ტერ-არმიელის" სახელწოდებით.

ეს მეორე ნომერია, რომელიც პირველ ნომერთან შედარებით უკეთესად არის გამოცემული, როგორც შინაარსით, ისე, მხატვრობის მხრივ.

ამ ნომერში უმთავრესად გაშუქებულია სარწმუნოებრივი ცრუ მორწმუნოება, რაც თათარ ახალგაზრდობას ძვალდა რბილში მაგრათ აქვთ გამჯდარი გაზეთი აგრეთვე შესანიშნავია მასში მოთავსებულ კარიკატურებისთ. დახატულ „შახსეი-ვახსეის" შესრულების დროს მათი წამება.

გაზეთი აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას. იმედია დანარჩენი რედკოლეგიები, როგორც არის ქართული, სომხური, გერმანული და რუსული მიბაძავენ თათრების რედკოლეგიას და ისინიც გამოუშვებენ თავიანთ ენებზე კედლის გაზეთებს.

განზრახულია საღამოს გამართვა თათრულ ენაზე მათი რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით. იმედია კლუბის გამგეობა ამასაც შესძლებს თავისი ენერგიული მუშაობით.

სამხკორი მ. ვ.

## საჭიროა დაწესებული ფორმის ტარება.

მეექვსე ტერ-ლეგიონი.

არა ერთხელ ყოფილა გაცემული ბრძანება, როგორც არმიის სარდალის, ისე გარნიზონის უფროსის მიერ, რომ თვითეული სამხედრო მოსამსახურემ სასტიკად დაიცვას დისციპლინის ერთი მუხლი რომელსაც ეწოდება დაწესებული სამხედრო ფორმის ტარების აუცილებლობა.

ხშირად შეხვდებით ჩვენს ტერ-ლეგიონში ზოგიერთ პასუხისმგებელ ამხანაგებს გადმოშობილ შარვლებით, ბლუზაზე, დაწესებული ნიშნების გაკეთება ხომ სასაცილო იქნებოდა არცა აქვთ. რას მიეწერება ეს, თუ არა დისციპლინის ერთ-ერთი მუხლის დარღვევას?

ეს ამხანაგები მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყვნენ დანარჩენებისათვის, განსაკუთრებით კი დისციპლინის განმტკიცებაში.

შევასრულოთ უმაღლესი ხელმძღვანელების მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება ფორმის ტარების შესახებ.

სამხკორი მიუდგომელი.

## ჩვენი ყოფა-ცხოვრებიდან.

(მე-6 სე ლეგ.)

(სურათი)

მშვენიერი დილაა. მზე უხვად ფენს თავის სხივებს მიდამოს. ტერარმიელებს თავი მოუყრიათ ყაზარმის ეზოში.

ჯგუფ-ჯგუფათ არიან დაყოფილნი. ერთი ჯგუფი თავს ირთობს ფეხბურთის თამაშით, დანარჩენი მიეშურებიან ლენინის კუთხეებისაკენ თავთავიანთ ენულების მიხედვით.

ზოგი თავისი სიმღერებით ართობს მიდამოს, ზოგი ოხუნჯობს. აგერ გარმონზე და დოლზე უკრავენ არმიელები; ეგერ ჭიდაობენ, ერთ მეორეს ეჯიბრებიან.

მარდათ და კოხტათ უვლის ამხ. პეტია. აქტივისტების ერთ ჯგუფს თავი მოუყრია ასეულის ლენინის, კუთხეში რომელიც თითქმის ყველაზე უფრო კარგათ არის მოწყობილი, და საუბრობენ ლეგთავთან და სამ-[illegible]ომთან. სოსო, ბიჭო, სოსო! დღეს კინო სურათებს გვიჩვენებენ აქვე და კლუბში კი თათრული პიესა,—ეუბნება ვანო,—ეს დიდი ნაბიჯია ჩვენი ლეგიონის ცხოვრებაში.

რამდენი ხანია ჩვენი ლეგიონის მესვეურები ფიქრობდენ ადგილობრივ კინოს მოწყობას, მაგრამ არ იქნა და არა აქამდე.

ვანო, მართლაც რომ ეს ძალიან კარგი ამბავია, აღარ დაგვჭირდება სხვაგან სიარული სურათების სანახავად,—უპასუხებს სოსო,—კლუბის უფროს უთქვია, რომ კვირაში ორჯერ იქნება სურათები, ნაჩვენები.

მოაწია შუადღემ, გვიძახიან სადილზე.

ყველანი ყაზარმისაკენ მიილტვიან. სადილის გათავების და ცოტა დასვენების შემდეგ ისევ თავს იყრიან ამხანაგები ყაზარმის ეზოში. ყველანი დიდ სამზადისში არიან: ზოგს გამოაქვს სკამები საზამთრო კლუბის შენობიდან და აწყობენ იქ, სადაც კინო-სურათი უნდა აჩვენონ, ზოგი ნაწილი ეზოს რწყავს, ზოგი თავთავიანთ ლენინის მინდორს—წყლით რწყავს. ყველას ღიმის სახე.

საღამომაც მოაწია. ისმის სიმღერები, რიგრიგობით მღერიან. მწყობრად მოვიდა ლეგიონის უნცროს მეთაურთა სკოლაც.

თეატრში გაკეთდა მოხსენება „შახსეი ვახსეის" შესახებ თათრულ ენაზე, რის შემდეგ დაიდგა სამ მოქმედებიანი ანტისარწმუნოებრივი პიესა თათრულ ენაზე, რაც ძლიერ კარგათ იქნა ჩატარებული თათარ ტერარმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

თათარ ტერარმიელებთან საუბრობს ლეგთავი, რომელიც ეხება მათ ყოფა ცხოვრების საკითხებს რელიგიასთან დაკავშირებით. საუბრის დროს ტერარმიელებმა განუცხადეს ლეგთავს, რომ „ჩვენ გვინდა რუსულათ წერა-კითხვის სწავლაო".

შემდეგ ნაჩვენები იქნა სურათი „За власть советов". რამაც წით. არმიელთა მასა ძლიერ დააკმაყოფილა.

გარეშე საზოგადოებაც აუარებელი დაესწრო. სრულ 12 საათზე დამთავრდა და წითელ არმიელებიც გაეშურენ ყაზარმისაკენ.

სამხკორი მ. ვ.

## ბანაკში.

მეთაურთა სკოლა.

დღეს დილა უფრო მზიანი და ხალისიანი იყო.

ბანაკიც ჩვეულებრივ ადრე აიშალა და კურსანტები მდინარეებს მოედვენ...

პირი დაიბანეს...

ზოგიც აუზში ჩაეშვა საბანაოდ... ზოგი ორძელს მივარდა და სავარჯიშოთ!

ყველას აჩქარება ეტყობა.

ჩაის დალევის ნიშანი მისცეს. კურსანტები ჩვეულებრივ დაეწყვნენ და რიგ-რიგობით სასადილოსაკენ გაემართენ!..

——

ყურთა სმენის წამლები ხმაურობა ატყდა...

— სიჩუმე! რა მოგივიდათ?! დაიძახა მეორე ასეულის ზედდეგმა.

— შე ოჯახ დაქცეულო, რათ მინდა ცარიელი წყალი რომ მოგაქვს?! ცოტა მეტ ჩაის ვერ ჩაყრით? ეუბნება კურსანტი ჩაის მომტან წითელ არმიელს.

წითელი არმიელი კი თავის მხრივ იმას სწუხს, რომ „ჩვენთვის არც ჩაი და არც სადილი თავის დროზე არ არისო!.. მომზადდება თუ არა მაშინვე ნიშანია და სანამდე კურსანტები მოათავებდენ—ქეც გაცივდებაო!"

— ეს გარემოება ჩაის გაწყალების უფლებას მაინც არ გვაძლევს! ამბობს გაჯავრებული კურსანტი...

——

ასეულები სროლაზე მიდიან. ზოგი მათგანი ისვენებს... პირველი ასეულის კურსანტები იკვეხიან, რომ მათ ნიშანი მთელი არ დარჩენიათ—სულ დააცხავეს!

— არ ვგევართ ზოგიერთებს „იშენიები" რომ მთელი დარჩებათ ხოლმე, ამბობს ერთი.

კურსანტი ნაირაშვილი ჩონგურზე დამღერის დასცინის ერთ კურსანტს, რომელმაც ყუმბარა ორჯერვე შეცდომით აგვირია!..

— ძაღლი აუშვი და წამოიყვანე! ზემდეგი უბრძანებს რომელიღაცას..

პირველ ასეულს ძაღლიცა ჰყავს, მას ერთ-ერთი მათგანი აჩვევს სამსახურს.

— ვაზნა! დაწექი! დაწექი!.. უფრო, უფრო!.. და ძაღლიც გაერთობა მიწაზე.

ვაზნა ჯერ ლეკვია, მაგრამ კარგად მოზდილი და გამგონი. სამხედრო ძაღლის ღირსებაც ის არის, რომ გამგონე, გამძლე და ჯანიანი იყოს...

აგერ, ერთ ნაწილს პოლიტიკური მეცადინეობა გაუთავდა,—არჩევდენ „ქვედა აპარატის გაჯანსაღების საკითხს"... მოდიან ვარჯიშობაზე, „სმიჩკისათვის" ემზადებიან. შეჯიბრი იქნება!

——

აქვე ახლო-ერთი გლეხის ყანაში ათიოდე წითელ არმიელი მუშაობს... საკავშირო გუნდიდან არიან. მათი ამხანაგი, წითელი არმიელი ამ გლეხის შვილი ყოფილა და მას ეხმარებიან!

— შვილო, რაც მაგათ დღეს გათოხნეს—ერთ თვესაც ვერ გავთოხნიდი, ამბობს ერთი მოხუცი გლეხი.

— სახლში ვერ წავედით და აქ მაინცა ვთოხნოთ! აღნიშნავს კმაყოფილი წითელი არმიელი.

——

ადერბეიჯანის სამხედრო სკოლის კურსანტები სადილს ორკესტრით შეექცევიან.

მათ ძალიან უყვართ მუსიკა, თარი და აღმოსავლეთური შიქასტები!..

——

მზე დაქანდა თუ არა დასავლეთისაკენ—ყველა სამხედრო სკოლები, პოლიტიკურ მეცადინეობასა და ლენინის კარვებში მუშაობას შეუდგენ...

ერთი ჯგუფი ლაპარაკობს, რომ ხვალ ყველა ნაწილების მეთაურთა კრება შესდგება სხვა და სხვა სამხედრო საკითხების განსახილველად!

— სხვა და სხვა საკითხებზე არა, მოხსენება იქნება ქიმიურ ომზე, უსწორებს მეორე.

...ვახშმის შემდეგ—რაღაც ნახევარ საათში ყველა სკოლები ამოკითხვაზე სდგას. ორკესტრები გრიალებს და ინტერნაციონალზე ყველა სმენად არის გადაქცეული!!

შემდეგ—ნახევარ საათს კიდევ გრძელდება სიმღერები; ფერხული... სჯა-ბაასი და დაღლილი კურსანტები ტკბილ ძილს ეძლევიან.

სამხკორი ჩვენი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა.

## გაზ. „წითელ არმიელის" ხმამ გასჭრა.

„წითელ არმიელის" № 153-ში მოთავსებული იყო წერილი პირველ საგაუბიცო საარტილერიო ბატარეის სასადილოს უქონლობის შესახებ სათაურით: „საჭიროა სასადილო", რასაც მიექცა ყურადღება და სასადილო ამავე ნაწილის შენობის გვერდით გახსნილ იქნა 11 ივლისს.

ვლ. ნავრუზაშვილი.

## ბიბ-გამგეც ასეთი უნდა.

მე-2 ლეგიონი.

აგერ თვე ნახევარი არის, რაც გადმოვედით ბანაკში. ჩვენს ლეგიონს ბიბ-გამგეც ახალი დაუნიშნეს. ბიბგამგე მოსვლისთანავე შეუდგა მეცადინეობას იმ წით. არმიელებთან, რომლებიც ვართ დანიშნული ლენინის კუთხის გამგეებათ. მეცადინეობა სისტემატიურად სწარმოებს ყოველ დღე ორი საათით. მეცადინეობას ყველა ამხ. დიდის სიხალისით ეტანებიან. ამხ. ბიბ-გამგე სიამოვნებით და სიხარულით გვამეცადინებს. ვერ შეამჩნევთ ამხ. ბიბ-გამგეს ოდნავ გულგრილობას და დაღლილობას.

ასეთი ძვირფასი და დაუღალავი მომუშავე ამხ. ღირსია დიდი მადლობის და უცხადებთ მას მადლობას და უსურვებთ შემდეგშიაც ასეთ ენერგიულ მუშაობის გაგრძელებას.

წ. არ. გ. პ—ძე.

## ბანაობის შემდეგ, ჭუჭყიანი საცვლები.

15 ივლისს, პირველი საარტილერიო საგაუბიცო ბატარეია წაიყვანეს აბანოში. ბანაობის შემდეგ დაურიგეს ჭუჭყიანი საცვლები.

ვეკითხები ამ ნაწილის უფროსს, შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში სისუფთავის დაცვა? ან კიდევ რა საჭიროა სისუფთავის შესახებ ლექციების კითხვა, თუ ამის შესრულების საშუალებას არ მოგვცემენ?

აუცილებლად საჭიროა დამნაშავეს ამ საქმეში პასუხი მოეთხოვოს და მეორეთ არ განმეორდეს ასეთი შემთხვევა.

ვლ. ნავრუზაშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

## ჩვენი საქმიანობა.

3 მე ლეგიონი.

შესდგა მესამე ლეგიონის გაერთიანებული პარტიული კრება.

კრებას დაესწრო თითქმის მთელი შემადგენლობა პარტ-ამხანაგებისა.

დღის წესრიგში იდგა მე-14-ტე პარტკონფერენციის შესახებ.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის 1-ლ საათზე. მომხსენებელი ამხ. შავლაძე ფართეთ ეხება კონფერენციის მნიშვნელობას მუხლობრივ იყო ყველა საკითხები განხილული და გაუგებარი ადგილები კი განმარტებული. მეტად დიდი ინტერესი გამოიწვია მოხსენებამ.

ასეთი გასაგები ენით კარგა ხანია ჩვენს ლეგიონში არ ყოფილა გაკეთებული მოხსენება.

მოხსენების ირგვლივ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ყველა შეკითხვებზე, რის შემდეგაც იყო გამოტანილი შესაფერი დადგენილება.

უნდა აღინიშნოს რომ პარტიული მუშაობა ჩვენს მესამე ლეგიონში კარგათ არის მოწყობილი, არის ჩამოყალიბებული 8 უჯრედი, სადაც კრებები იმართება სისტემატიურათ თვეში ორჯერ, რასაც დიდი ნაყოფი მოაქვს; არის ლტოლვა პარტიაში შესვლის წითელ არმიელების მხრივ, რაც მიეწერება უჯრედების ნაყოფიერ მუშაობას.

3-მე ლეგიონის პოლიტხელი

ი. გოგიტიშვილი.

## მეორე არტლეგიონის პარტ-ცხოვრებიდან.

ა. წ. 18 ივლისს შესდგა არტლეგიონის საერთო პარტიული კრება კომკავშირელებთან ერთად. კრებას დაესწრენ პოლიტ-განყოფილებიდან მომაგრებულ ამხანაგები: ნუცუბიძე, ჟუჟუნავა და ქადაგიშვილი. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი „ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება გლეხობის შესახებ".

მოხსენება გააკეთა ამხ. შ. ნუცუბიძემ, რომელმაც თითქმის მუხლობრივ განუმარტა კრებას ყველა იქ მიღებული რეზოლიუციები. დასასრულ მომხსენებელი შეეხო საერთოდ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შინაურ და გარეშე მდგომარეობას.

ვინაიდან კრებაზე იყვნენ აგრეთვე წითელ-არმიელები, არა მცოდნე ქართული ენისა, ამისათვის მომხსენებელს მოუხდა მოკლეთ, მოხსენების რუსულ ენაზე გადათარგმნა.

მოხსენების შემდეგ შემოვიდა მეტად პრაქტიკული და შინაარსიანი შეკითხვები, როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ ენაზედაც და დასასრულ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

## მე-5-ე ლეგიონის კომუჯრედის გაერთიანებული კრება.

9 ივლისს მეხუთე ლეგიონის პირველ ათასეულში შესდგა გაერთიანებული კომუჯრედის კრება. კრებას დაესწრენ, როგორც პარტიულები, ისე უპარტიო ამხანაგები. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. ჯოხიძე, მდივნობდა ანდღულაძე.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ჭიათურის შავი ქვის კონცესიის შესახებ, 2. დისციპლინის შესახებ და 3. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამავე ლეგიონის კომისრის თანაშემწემ ამხ. ცხვიტარიძემ. მან ჭიათურის საკითხი სათანადოთ გააშუქა და აღნიშნა მისი მნიშვნელობა ეკონომიურად და აგრეთვე შეეხო იმ გარემოებას, თუ რატომ გადასცეს ამერიკას და რა სარგებელს მოველით აქედან.

ამხ. ცხვიტარიძის მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი იქნა გაცემული, რის შემდეგ იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუცია.

დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა მე-2 ასეულის ოც. მეთაურმა ამხ. ჩხაიძემ, რომელმაც აუხსნა კრებას დისციპლინის დაცვის აუცილებლობა წითელ ჯარში.

ამხ. ჩხაიძეს მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, სადაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ყველა შეკითხვებზე.

მიმდინარე საკითხებში კრებამ დაადგინა: გააფრთხილონ ის ამხანაგები, რომლებიც არ დაესწრებიან კრებას და მეორე ასეულებში ავადმყოფ წითელარმიელებს მიექცეს ყურადღება და დროზე იქნან გადაგზავნილნი საავადმყოფოში.

სამხკორი წ.-ა. რუსპირელი.

## მე-6 ლეგიონის № 4 კომუჯრედის საქმიანობიდან.

17 ივლისს შესდგა კომუჯრედის მორიგი სხდომა, რომელსაც დაესწრო კომკავშირის, პარტიის წევრები და კანდიდატების უმრავლესობა.

დღის წესრიგში იდგა სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის 1) საქართველოს პარიტეტულ კომიტეტის წევრების გასამართლებისა და 2) დისციპლინის შესახებ.

პარიტეტულ კომიტეტის წევრების გასამართლების ირგვლივ მოხსენება გააკეთა ამხ. ასათიანმა, რომელმაც მკაფიოთ დაგვიხასიათა პარიტეტულ კომიტეტის მოღვაწეობა და ზრახვები საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ. ახხანაგი გაზეთებში მოთავსებულ ცნობების მიხედვით გვაცნობს სასამართლოს მსვლელობას.

საქართველოს მშრომელი ხალხი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში ღრმათ აკვირდებოდა საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებას მშრომელი მასის საკეთილდღეოდ ერთხელ და სამუდამოთ დარწმუნდა ჩვენს ძლიერებაში და მასთან ჩვენს მიღწევებში. ყოფილი მენშევიკური მთავრობა თავის ზრახვებს აგრძელებდა, მაგრამ მშრომელი ხალხი მათ ანკესს არ წამოეგო და მათ აჩვენა თავის რისხვა და მით დაიმხვრა ამ ვაჟბატონების ზრახვები.

ჩვენი კომუჯრედი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა სასამართლო იმ ვაჟბატონებს, რომლებსაც სურდათ თარეში საქართველოში და საქართველოს მუშების და გლეხების თავიანთ მახეში გაბმა მიუსჯიან კანონიერ სასჯელს.

მეორე საკითხის შესახებ დაგვიხასიათეს დისციპლინის შესახებ, კომუჯრედი გამოსთქვამს სურვილს რათა მან დასჭიმოს მთელი თავისი ენერგია და მთელი შემჭიდროვებული ძალღონით იბრძოლოს დისციპლინის განმტკიცებისათვის. იმედია ეს ამხანაგები მომავალში ასეთ ენტუზიაზმით შეუდგებიან დისციპლინის განმტკიცების საქმეს.

სამხკორი დავლომი.

## ამბები სოფლებიდან.

**საექიმო პუნქტს თხოულობენ.**

სოფ. კუხის სათემო აღმასკომმა (ქუთაისის მაზრა) შუამდგომლობა აღძრა სამაღმასკომის წინაშე სოფ. კუხში საექიმო პუნქტის გასახსნელათ.

**ტრაქტორის შესაძენათ.**

სოფ. კავთისხევის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობას მიიღოს ზომები ტრაქტორისა და სხვა სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

**სასამართლოს სესიები სოფლად.**

წითელ ქალაქის თემაღმასკომმა დაადგინა სთხოვოს ადგილობრივ საუბნო სასამართლოს, რათა მან თავის სესიები მოაწყოს სოფლებში.

**დაკიდებული ხიდი.**

ვანის (იმერეთი) სათემო აღმასკომის ხელმძღვანელობით უკვე დასრულდა მდ. სილორზე დაკიდებული ხიდის აგება. ხიდი აერთებს სამ მეზობელ თემს.

**სკოლის გადატანა.**

გორის აღმასკომის განათლების განყოფილებამ დაადგინა, თანახმად მცხოვრებთა სურვილისა, სკოლის შენობა სოფ. მატარბოდან გადაიტანოს სოფ. ძეგვში.

**ბაზრობის მოსაწყობათ.**

ბორჩალოს აღმასკომის მეთაურობით შეუდგენ საბაზრო მოედნის მოწყობას ქალ. ლიუქსემბურგში.

## ვინ იქნება შემდეგი?

ამხ. ხუროძის გამოწვევის საპასუხოთ ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს" წლის ბოლომდის და ჩემის მხრივ ვიწვევ: ამხ. ამხ. მე-6 ტერასეულის მეთაურებს: გურგენიძეს, გიორგობიანს, წამალაშვილს, ყარეგიშვილს; რაჭის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან თანაშემწე გამყრელიძეს, და სამოგზაურო უფროს გვენცაძეს.

რაჭის მაზრის სამხედრო კომისარი თავდომაძე.

**გლეხკომის სახელოსნოები.**

სოფ. ტყვიავში (გორ. მ.) ადგილობრივი გლეხკომი ხსნის სანალბანდო და სამჭედლო სახელოსნოს.

**სურამიდან ხაშურში.**

გორის სამ. აღმასკომის დადგენილებით სურამის საგამომძიებლო კამერა გადატანილ იქნება ხაშურში, როგორც უფრო ყველა რაიონებისათვის დასამხრის ადგილზე.

**ბანკის სააგენტო.**

გომის თემაღმასკომმა (ქართლი) შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ბანკის სააგენტოს გახსნის შესახებ.

**სამკურნალო მცენარეულობა.**

რაჭის სამაზრო გლეხკომმა ითავა მაზრაში სამკურნალო მცენარეულობის შეკრება.

**სკოლის გაფართოება.**

სოფ. ვანში (იმერეთი) ადგილობრივი აღმასკომის მეთაურობით უკვე დასრულდა სკოლის გაფართოება. აშენებულ იქნა ძველ შენობასთან ახალი საკლასო ოთახი.

**სახერხი ქარხნის მოსაწყობათ.**

კავთისხევის აღმასკომმა გადასწყვიტა ააგოს ადგილობრივ სახერხი ქარხანა და ამ მიზნით სცდილობს მიიღოს სესხი ათასი მანეთის რაოდენობით სას.-სამ. ბანკიდან.

## ახალი ამბები.

— სავეტერინარო ფაკულტეტი. მომავალი სამოსწავლო წლიდან ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან იხსნება სავეტერინარო ფაკულტეტი. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა დაადგინა ყოველწლიურად დაეხმაროს ფაკულტეტს 56 ათასი მანეთით.

— ლიტერატურა სოფელს. მავნებლებთან ბრძოლის ბიურომ დაადგინა დაგზავნოს სოფელში ლიტერატურა მავნებლებთან შესახებ.

— ახალი ქარხნები. მიწადმოქმედების კომისარიატმა გამოიმუშავა ხუთ-წლიანი მუშაობის გეგმა შინამრეწველობის დარგში. გეგმით განზრახულია მოეწყოს საქსოვ-საფეიქრო ქარხნები რესპუბლიკის 33 ადგილას.

— კალიის მოსასპობათ. მავნებლებთან მებრძოლმა ბიურომ გადასწყვიტა ჩაატაროს კალიასთან ბრძოლის კამპანია ბორჩალოს მაზრაში.

— საშენი მასალა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიწ.-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ დაურიგა ღარიბ გლეხებს უფასოთ 45.155 მანეთის საშენი მასალა.

— წყალსაზომების რიცხვი. ივლისისათვის ტფილისში წყალსაზომების რიცხვი უდრიდა 3.344. ცალს.

— რამდენგანაა გაყვანილი ელექტრონი. ივლისისათვის ელექტრო სადგურების სამმართველოს ყავდა 9.300 აბონენტი.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### რატომ ვარდება ციდან ქვები.

აგვისტოს ღამეებში ხშირად დაინახავ მოკაშკაშე წერტილს, რომელიც უცებ აინთება მოსწყდება, კაშკაშა ზოლად დაეშვება ცის კაბადონზე და სადღაც ქრება.

ცრუმორწმუნე ადამიანები ამ დროს პირჯვარს ისახავენ და ამბობენ:

— ვიღაცას სული გაფრინდა.

ხოლო სწავლულ ასტრონომს, რომელიც კარგი სათვალთვალო მილით—ჭოგრიტით თვალს ადევნებს და სწავლობს ცის საიდუმლოებას, ეს მოკაშკაშე წერტილები სულ სხვას ეუბნებიან. ისინი აძლევენ მას შესაძლებლობას ჩაიხედოს მსოფლიოს სიღრმეში, და კარგად შეისწავლოს და გამოიტანოს დასკვნები.

ეს წერტილები, რომლებიც აინთებიან და ჰქრებიან, არიან ქვები რკინისა და ქვისაგან შენადუღი ნამტვრევი—მეტეორიტები.

როცა ასეთი ქვა უჰაერო



სივრციდან მოხვდება დედამიწის ატმოსფეროს საზღვრებში, ე. ი. მიწაზე გარშემორტყმულ ჰაერში, ის გახურდება სწრაფი ვარდნით (დედამიწის მიერ მიზიდვით) და ჰაერში ხახუნით, გავარვარდება და ანათებს ისე, როგორც მქშინავ ქურაში რკინის შანთი.

ზღაპრული სისწრაფით (50 ვერსამდი წამში) მოჰქრიან მეტეორიტები და ხშირად ეცემიან მიწაზე, უკანასკნელის მიმზიდველობის გამო. ზოგიერთი გაივლის დედამიწის გვერდით ატმოსფერაში და კვლავ მიჰქრიან სახეტიალოდ მსოფლიოს უსაზღვრო სივრცეში.

ამას წინად ლისიევის ახლოს, პერმის გუბერნიაში, ჩამოვარდა უზარმაზარი მეტეორიტი, რომლის მოცულობა უდრიდა 600 კუბიკურ არშინს დაახლოვებით. ცხადია მისი წონა რამოდენიმე ათასი ფუთი იქნება.

მეტორიტის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ის შესდგება ნამტვრევი ქვების, ნადნობ რკინის, ნიკელისა და სხვა ლითონებისაგან. კარგი გადიდებული შუშით დაინახავ, რომ მეტეორიტის პაწაწა ნამტვრევი შესდგება იოტის ოდენა, ერთმანეთში შენადუღი ნაწილაკებისაგან.

საიდან ჩნდებიან ეს ქვა-მეტეორიტები?

ზოგიერთი სწავლულები ფიქრობენ, რომ ისინი წარმოიშობიან კომეტის ბირთვის დაშლის დროს. მართლაც, ხშირად ხედავენ ჭოგრიტით, რომ კომეტის მაგივრად მის გზაზე მოძრაობს მთელი გროვა მეტეორიტების, ხოლო თვით კომეტა კი ამის შემდეგ აღარ სჩანს.

მეტეორიტები შეიძლება წარმოიშვან კიდევ სხვა გზით—მსოფლიო სივრცეში გაფანტულ მტვერის ნაწილაკების შეერთება—შემჭირხნებისაგან. ეს ნაწილაკები დიდდებიან ურთიერთ შეწებებით მოძრაობის დროს.

ბოლოს სწავლულების აზრით არის მესამე გზა მეტეორიტების წარმოშობისა—როცა მიწის მაგვარი, დაბერებული ცდომილი დაიშლება. როცა ისინი დაამთავრებენ თავის განვითარების რკალს, მათზე გაჰქრება წყალი და ჰაერი და ცდომილები დაიშლებიან, დანაწილდებიან.

მაშასადამე, არა ადამიანის სიკვდილს გვაგებინებს ჩვენ ვარდნილი ქვები, არამედ იმას, რომ მთელი მსოფლიო იმყოფება საუკუნო, დაუსაბამო ბრძოლის მდგომარეობაში: იბადება ახალი ცხოვრება, კვდება ძველი.

აქ ადგილი აქვს მხოლოდ მეცნიერებას, და არა რელიგიასა და ცრუმორწმუნოებას.

ვ. პ.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მე-3 ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიაში კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ უპარტიო წითელ არმიელებს:

1) ცინცაძე ამბროსი ნიკოლოზის-ძეს, 2) ლოლომაძე ვლადიმერი სიმონის-ძეს, 3) კაკაურიძე ამბერკი გიორგის-ძეს, 4) ლაცაბიძე გრიგორი ილიას-ძეს, 5) ჩხიკვაძე კონსტანტინე მელიტონის-ძეს და 6) ახ. ლ. კ. კ. წევრს პენკევიჩი ნიკოლოზი ვლადიმერის-ძეს.

გთხოვთ ვისაც აქვთ რაიმე ცნობა ზემო ჩამოთვლილ ამხ.ნაგების უარყოფითი მხარეების შესახებ აცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში 1-ლ ქართულ დივიზიის საარტილერიო ლეგიონის მესამე ბატარეის კომუჯრედის მდივანს.

მესამე ბატარეის კომუჯრედი.

ქართ. სამ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები ა. ლ. კ. კავშირის წევრობიდან კ. პ. კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამხ. ამხ. 1. ჩიტიაშვილი გიორგის 2. კობახიძე გრიგორის; კომ-პარტიის კანდიდატობიდან კ. პ. წევრად გადარიცხვის შესახებ: ამხ. ვასილ ჩომახიძეს და ამხ. დათიკო სვანიძეს.

ქ. სამ. პოლ. სკოლის კომ-უჯრედი გთხოვთ გვაცნობოთ თუ ვისმეს გაქვთ უარყოფითი და საწინააღმდეგო ამ ამხანაგებზე 10 დღის განმავლობაში.

ქ. ს. პ. ს. კომ-უჯრედის პ.-მგ. მდ. ვლ. კიკალიშვილი.

1-ლი ლეგიონის მე-4-ხე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები შემდეგ წითელ არმიელ კომკავშირის წევრებს კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ: 1. ლითანიშვილი გიორგი სიმონისძე. თბილისის მაზრა 2. ანთაური ხვთისოვარ დავითისძე. დუშეთის მაზრის, სოფელი კაწალხევი. 3. ხუბეროვი სურენ დავითისძე. თბილისის მაზრა სოფელი მცხეთა. და უპარტიო 4. ამყოლაძე ათანასი ივლიანისძე ქუთაისის მაზრა სოფელი ცუცხვათი.

გთხოვთ გვაცნობოთ ვისაც აქვთ ზემო-აღნიშნული პირებზედ რაიმე საწინააღმდეგო.

კომუჯრედის მდივანი ვაშაკიძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

**ქალაქის კომენდანტი აცხადებს**, რომ 22 ივლისს, დილის რვა საათიდან ღრმაღელეში იწარმოებს სროლას ქვემეხიდან.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 1048 1-ლ ქარ. ჰ. დ. ცალკე მესანგრე ასეულიდან გაცემული მამასახლის ამხ. დემურაშვილ ისაკზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.